

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ტვიშის თემის მაჟორიტარი დეპუტატის თინათინ ნემსწვერიძის მიერ 2019 წელს გაწეული სამუშაოს

ანგარიში

2019 წელს ტვიშის თემის მოსახლეობასთან შეხვედრებზე ჩართული იყო, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი ისე ადგილობრივი ხელისუფლება. ტვიშის თემში 2019 წელს მრავალი პრობლემა იდგა. მოსახლეობა ითხოვდა სოფლის ცენტრალური გზის რეაბილიტაციას, სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებას, შიდა გზების განათებას. აღნიშნული საკითხები ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული.

2019 წელს სოფ. ქორენიშში გაკეთდა გარე განათება, ნაწილობრივ გაკეთდა სანიაღვრე არხები. სოფ. ორხვში შეძენილი იქნა სასმელი წყლის მილები და მოხდა წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, მილების გამოცვლა. სოფ. ლახეფაში შეკეთდა გზის საფარი და მოეწყო სანიაღვრე სისტემა.

სოფ. ტვიშში დაიგო ბეტონის საფარი, მოეწყო გაბიონი, სანიაღვრე სისტემა და გარე განათება.

მიმდინარე წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა თემის მოსახლეობასთან შესხვედრა, კრებებს ხშირად ესწრებოდა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე.

საჭიროა ტვიშის თემში გაგრძელდეს გზების რეაბილიტაცია. დასასრულებელია სოფლის გარე განათების საკითხი. ასვე თემში შემავალი სოფლების პრობლემების მოგვარება (გარე განათება, გაბიონები, სასმელი წყლების სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია).